ქალაქის ურბანული დაგეგმარება, როგორც დანაშაულის გამომწვევი მიზეზი და შესაბამისი პრევენციული მექანიზმები

თინა კვირკველია

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ანტონ ქელბაქიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თინა კვირკველია

2023 წელი

აბსტრაქტი

ნაშრომში ჩატარებული კვლევა მოიცავს ქალაქის ურბანულ დაგეგმარებასა და დანაშაულს შორის კავშირის პოვნას, რისთვისაც კვლევის დროს განხილულია კრიმინოლოგიის როლი სისხლის სამართალში. აღწერილია კავშირი ურბანიზაციას, ურბანიზმსა და კრიმინოლოგიას შორის. რის შედეგადაც, ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული ურბანული დანაშაულის ცნებაზე. აღნიშნული საკითხის ანალიზი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ეფექტურად წარმართვაში.

კვლევის დროს შედარებულია რეგიონსა და ქალაქის ტიპის დასახლებებს შორის ჩადენილ დანაშაულთა სპეციფიკა; გამოკვეთილია ქალაქის სტრუქტურის როლი დანაშაულის დინამიკაში. ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს თუ რა კავშირია ქალაქში არსებულ შენობათა არქიტექტურულ მოდელსა და დანაშაულს შორის.

ზემოაღნიშნული კავშირის დადგენის დროს, ნაშრომში გამოყენებულია კრიმინოლოგთა და ფსიქოლოგთა თეორიული მოძღვრებები და ექსპერიმენტები. კვლევა ასევე ეფუძნება სტატისტიკურ მონაცემებს.

კვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს არასრულწლოვანთა დანაშაულებზე. განხილული თეორიების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვანთა ურბანულ დანაშაულებს განსხვავებული სპეციფიკა აქვს და ცალკე განხილვის საგანია.

საბოლოოდ, ნაშრომის მიზანია ურბანული დანაშაულების პრევენციისათვის შეიმუშავოს ეფექტური მექანიზმები. რომლებიც, დაეფუძნება კანონმდებლობაში არსებულ ინსტიტუტებს.

საძიებო სიტყვები: ურბანიზაცია, ურბანული დაგეგმარება, ურბანიზმი, კრიმინოლოგია, დანაშაულის პრევენცია, ურბანული დანაშაული.

Abstract

The research involves finding the connection between urbanization, urban planning and criminal behavior. For which the role of criminology in criminal law is discussed during the research. The connection between urbanization, urbanism and criminology is cause for rising trend of crime. As a result, the paper focuses on the concept of urban crime. The analysis of the mentioned issue will make a significant contribution to the effective management of the state's criminal justice policy.

During the research, the specifics of crimes commited between the small towns and city-type settlements are compared. The paper focuses on the relationship between the architectural planning of buildings in city and crime.

The theoretical doctrines and experiments of criminologists and psychologists are used in the work to find the connection between above mentioned issue. The research is also based on statistical data.

The study focusses on juvenile delinquency. During the analysis of theories about criminal behavior, it was revealed that the urban crimes commited by minors have different specifics compared to adult urban crimes.

Finally, the aim of the research is to develop effective mechanisms for the prevention of urban crimes, which will be based on existing institution in legislation.

Keywords: Urbanization, Urban Planning, Urbanism, Criminology, Crime Prevention, Urban Crime.